



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY



გზამკლავი

2016-2017
აკადემიური წელი

ბიზნესის მართვის
ფაკულტეტი

დეკანის გზავნილი



ბიზნესის მართვის ფაკულტეტი გახლავთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი ფაკულტეტი, რომელიც უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, 1995 წლიდან ფუნქციონირებს და დაარსებიდანვე წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მოთხოვნად ფაკულტეტს არა მარტო ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც. ჩვენს კურსდამთავრებულებს გააჩნიათ ყველა საჭირო უნარ-ჩვევა და შესაბამისი განათლება, რომელიც ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. ფაკულტეტი მიზნად ისახავს საფუძვლიანი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, პრაქტიკულ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე სწავლობს

15 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე; ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ქართულ და ინგლისურ ენებზე და დაკომპლექტებულია როგორც ადგილობრივი და უცხოელი მაღალკვალიფიციური პროფესორებით, ასევე პრაქტიკოსი სპეციალისტებით. ფაკულტეტი შედგება შრომით ბაზარზე არსებული ყველაზე მოთხოვნადი სპეციალობებისგან (5 პროგრამისგან): **მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი და ტერმინი (საბაკალავრო დონეზე); მენეჯმენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) მენეჯმენტი, მარკეტინგი და ფინანსები (სამაგისტრო დონეზე) და ბიზნესის ადმინისტრირება (სადოქტორო დონეზე).** გარდა აღნიშნული ძირითადი სპეციალობებისა სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აირჩიონ უნივერსიტეტის მასშტაბით სხვადასხვა ფაკულტეტების მიერ შემოთავაზებული დამატებითი სპეციალობის (Minor) სასწავლო პროგრამები. ფაკულტეტი მუდმივად ზრუნავს სტუდენტს განუვითაროს შემოქმედებით და ანალიტიკური აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისა და კომუნიკაციის უნარები. სასწავლო პროგრამების მიზანია მოამზადოს საუკეთესო კონკურენტუნარიანი და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალები, რომლებიც შეძლებენ თავიანთ სფეროში წარმოქმნილი ცვლილებებისა და პრობლემების ადვილად და უპრობლემოდ გადაჭრას და დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. დამამთავრებელი კურსის სტუდენტები პრაქტიკას გადიან წამყვან კომპანიებში.

სწავლის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სტუდენტების ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებასა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევების ფორმირებაზე. ინტერაქტიული სწავლების პროცესი მიმდინარეობს სემესტრული პროექტების, ანალიზისა და დისკუსიების თანხლებით. ფაკულტეტი გამოირჩევა პროექტების, მრავალი მაგიდის დისკუსიებით ექსპერტებთან, საჯარო ლექციებისა და ფორკმოფების, სემინარებისა და კონკურსების მრავალფეროვნებით, კომპანიების მიერ შემოთავაზებული კვლევების მომზადებით. ბიზნესის მართვის ფაკულტეტი მოიცავს თანამედროვე კომპიუტერულ სწავლებებს და პროფესიული სასწავლო საგნების ისეთ ჩამონათვალს, რომლებიც სპეციალისტების დახმარებით უზრუნველყოფენ მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის და ტერმინის საკითხების სრულყოფილ შესწავლას. ფაკულტეტის კურსდამთავრებულენ გამოირჩევიან ლიდერებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით, მენეჯერებისა და მარკეტინგის სპეციალისტებისათვის აუცილებელი შემოქმედებითი უნარით, ფინანსური ანალიზის უნარ-ჩვევებით და როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ შრომით ბაზარზე ისინი იკავებენ წამყვან კომპანიებში წამყვან პოზიციებს. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ჩართულია ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო ჟურნალის მომზადებით. ბიზნესის მართვის ფაკულტეტი სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს გაცვლითი პროგრამების საშუალებით საერთაშორისო გამოცდილების მიღებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

მემოვიერთდით და გახდით მომავალი სპეციალისტები თქვენს სფეროში.

ვიზუალიზაცია, თუ რატომ უნდა აირჩიოთ ბიზნესის მართვის ფაქტორები

1. ბიზნესის მართვის ფაქტორები უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის პროგრამებს ქართულ და ინგლისურ ენებზე; საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში ჩართული არიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი პროფესორები წამყვანი უნივერსიტეტებიდან;
2. საბაკალავრო დონეზე დამატებითი სპეციალობის (minor) დაუფლების შესაძლებლობა;
3. სწავლების უახლესი მეთოდები და ხშირი შეხვედრები ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან;
4. უახლესი სასწავლო მასალები, ქეისები, სიმულაციები და მდიდარი ქართული და უცხოური ლიტერატურა;
5. საერთაშორისო გარემოში 15-მდე სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტთან სწავლის შესაძლებლობა;
6. რეალური კავშირი კომპანიებთან და მათთვის კვლევების ჩატარების შესაძლებლობა;
7. დასაქმებისათვის ხელმისაწვდომი ფართო ქსელი და მჭიდრო კავშირები დამსაქმებელ ბაზართან (კურსდამთავრებულთა 98% დასაქმებულია);
8. საფუძვლიანი თეორიული ცოდნის მიღების, პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობა;
9. სხვადასხვა ქვეყანაში სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესაძლებლობა;
10. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 23 პარტნიორ უნივერსიტეტში გაცვლით პროგრამებზე სწავლის შესაძლებლობა;
11. საჯარო ლექციის ფარგლებში უცხოელი პროფესორებისა და სპეციალისტების, პრაქტიკოსი ლექტორების, მოწვეული სტუმრების ხშირი ვიზიტები;
12. მრავალფეროვან პროექტებში, ვორკშოფებში, სემინარებსა და მრგვალი მაგიდის დისკუსიებში მონაწილეობის შესაძლებლობა;
13. საკუთარი ბიზნეს იდეების განხორციელებისა და განვითარების შესაძლებლობა;
14. სხვადასხვა უცხო ენების (რუსული, თურქული, ფრანგული, გერმანული, ესპანური) სწავლის შესაძლებლობა;
15. მეგობრული და მზრუნველი ადმინისტრაციული პერსონალი და საუკეთესო გარემო სწავლისათვის;
16. ხშირი სოციალურ-კულტურული აქტივობები და ღონისძიებები.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გრანტი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აბიტურიენტების მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ხდება. უნივერსიტეტში ჩარიცხვისთვის მნიშვნელოვანია, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაციისას, სასწავლო პროგრამების ჩამონათვალში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს (კოდი 064) პირველი ადგილი მიანიჭოთ.

როგორია სწავლის საფასური, შეღავათები და დაფინანსების სისტემა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლისთვის?

„გრანტს + გრანტი“

- თუ ხარ 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 70%-იან გრანტს;
- თუ ხარ 70%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 50%-იან გრანტს;
- თუ ხარ 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 30%-იან გრანტს.

ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები

- თუ ხარ სახელმწიფო გრანტის მფლობელი, საჯარო და კერძო სკოლების ოქროს ან ვერცხლის მედალოსანი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, 4 წლის განმავლობაში, 100% და 70% და 50% -იანი გრანტით დაგაფინანსებს;
- თუ ხარ 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 100%-იან გრანტს;
- თუ ხარ 70%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 70%-იან გრანტს;
- თუ ხარ 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 50%-იან გრანტს.

თუ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამებს (კოდი 064) უპირატესობას მიანიჭებ და უნივერსიტეტების ჩამონათვალში პირველს ჩაწერ, 20%-იან დაფინანსებას მიიღებ;

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ყოველწლიური სასკოლო ოლიმპიადის პირველ ორმოცდაათეულში მოხვედრისას, უნივერსიტეტისგან მიიღებ სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას (I ადგილი - 100% დაფინანსება; II-III ადგილი - 75% დაფინანსება; IV-X ადგილი - 50% დაფინანსება; XI-XXV ადგილი 20% დაფინანსება);

თუ ხარ საქართველოს 2016-2017 სასწავლო წლის ეროვნულ-სამეცნიერო ოლიმპიადის მონაწილე, გადახვედი III ტურში და ამავე დროს აიღე ნებისმიერი ოდენობის სახელმწიფო გრანტი, უნივერსიტეტისგან მიიღებ 100%, 70% და 50%-იან დაფინანსებას;

- თუ ხარ 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 100%-იან გრანტს;
- თუ ხარ 70%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 70%-იან გრანტს;
- თუ ხარ 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მფლობელი, მიიღებ IBSU-ს 50%-იან გრანტს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოპოვებული გრანტით ან დაფინანსებით 4 აკადემიური წლის განმავლობაში ისარგებლებ იმ შემთხვევაში, თუ შენი საშუალო აკადემიური მაჩვენებელი ყოველი წლის ბოლოს არ იქნება 80 (GPA) ქულაზე ნაკლები, ხოლო თუ შენ ხარ ერთიანი ეროვნული გამოცდების რეიტინგით პირველ 100-ეულში და 200-ეულში მოხვედრილ სტუდენტებს შორის და იღებ IBSU-ს ყოველთვიურ სტიპენდიას, მის შესანარჩუნებლად შენი საშუალო აკადემიური მაჩვენებელი (GPA) ყოველი წლის ბოლოს არ უნდა იყოს 91 ქულაზე ნაკლები.

სტიპენდიანტი სტუდენტები



- რაც დრო გადის მით უფრო კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით, რომელიც ორი წლის წინ ვაკეთებდი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მაძლევს საშუალებას მივიღო საერთაშორისო დონის განათლება ინგლისურ ენაზე მულტიკულტურულ, მეგობრულ გარემოში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სრულიად უფასოდ. თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილება, განვლილი პროგრამების მრავალფეროვნება, დასაქმების მაღალი პოტენციალი და აქტიური სტუდენტური ცხოვრება არის ის მიზეზები, რის გამოც კიდევ მრავალჯერ ავირჩევდი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ამის საშუალება რომ მქონდეს.

თეკლა ლობჯანიძე - სწავლობს ბიზნესის მართვის ფაკულტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე. აკადემიური მოსწრების შესაბამისად იღებს 100 ლარიან სტიპენდიას.

-IBSU არის ერთადერთი ადგილი, სადაც მოსწავლეებს უფასდებით ის დიდი შრომა, რომელიც თქვოს/ვერცხლის მედლისა თუ გრანტის მოსაპოვებლად გაწიეს. სწორედ უფასოდ სწავლის შესაძლებლობა იყო პირველი მიზეზი, რის გამოც შევჩერე არჩევანი ამ უნივერსიტეტზე. აქვე აღვნიშნავ, რომ ის შემოთავაზებები, რომლებითაც მედალოსანი, გრანტის მფლობელი თუ ოლიმპიადაში გამარჯვებული ახალგაზრდა სარგებლობს მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით არ არის საყურადღებო. უნივერსიტეტის ასეთი პოლიტიკის საშუალებით ერთ სივრცეში იყრიან თავს საქართველოს საუკეთესო მოსწავლეები, რის შედეგადაც სტუდენტებისთვის კიდევ უფრო მისაღები ხდება გარემო.



ქეთო მარგალიტაშვილი - სწავლობს ბიზნესის მართვის ფაკულტეტის, მენეჯმენტის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე. აკადემიური მოსწრების შესაბამისად იღებს 100 ლარიან სტიპენდიას.

საბაკალავრო დონეზე:

- მენეჯმენტი (ინგლისური და ქართული სექტორი)
- მარკეტინგი (ინგლისური და ქართული სექტორი)
- ფინანსები (ინგლისური და ქართული სექტორი)
- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი (ინგლისური და ქართული სექტორი)
- ტურიზმი (ინგლისური და ქართული სექტორი)

სამაგისტრო დონეზე:

- მენეჯმენტი (ინგლისური სექტორი)
- IT მენეჯმენტი (ინგლისური და ქართული სექტორი)
- მარკეტინგი (ინგლისური სექტორი)
- ფინანსები (ინგლისური და ქართული სექტორი)

სადოქტორო დონეზე: • ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისური სექტორი)

ბიზნესის მართვის ფაკულტეტი	ქართული სექტორი ფასი	ინგლისური სექტორი ფასი
ბაკალავრიატი		
მენეჯმენტი	4680 ლ	5100 ლ
მარკეტინგი	4680 ლ	5100 ლ
ფინანსები	4680 ლ	5100 ლ
საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი	4680 ლ	5100 ლ
ტურიზმი	3540 ლ	3960 ლ
მაგისტრატურა		
მენეჯმენტი	-	4500 ლ
IT მენეჯმენტი	4500 ლ	4500 ლ
მარკეტინგი	-	4500 ლ
ფინანსები	4500 ლ	4500 ლ
დოქტორანტურა		
ბიზნესის ადმინისტრირება	-	4500 ლ



მენეჯმენტის პროგრამა

პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ფუნდამენტურად შეისწავლონ ბიზნესის მართვის ფართო სპექტრი მთლიანობაში და მაქსიმალურად ღრმად მენეჯმენტის მიმართულება, რაც კურსდამთავრებულთა უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალებად ჩამოყალიბების პირობას ქმნის.

სტუდენტები იღებენ ცოდნას, რომელიც ეხმარებათ ორგანიზაციის შიდა და გარე ფაქტორების უკეთ შეფასებაში, ბიზნესთან დაკავშირებული მიმართულებებისა და ტენდენციების სწორად აღქმაში.

წარმატებული მენეჯერები

წარმატებულ მენეჯერებს გაცნობიერებული აქვთ ორგანიზაციის არსი და სწორად ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა პირობა. მათ შეუძლიათ სამუშაოს სწორად ორგანიზება, დაგეგმვა და კომუნიკაცია ყველა ტიპის რესურსის, განსაკუთრებით კი ადამიანური რესურსის ეფექტური გამოყენებისთვის.

დასაქმება

კურსდამთავრებულებს მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია საშუალებას აძლევს დასაქმდნენ როგორც მცირე, ასევე საშუალო და დიდ ორგანიზაციებში და მოკლე დროში შეძლონ მმართველობით იერარქიაში წინსვლა. მათ შეუძლიათ წარმატებით ჩაერთონ ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში, მართონ კონკრეტული მიმართულება ან პროექტი და ასევე ინიცირება გაუკეთონ ახალ, ინოვაციურ სისტემებსა და იდეებს.



მარკეტინგის პროგრამა

ეფექტური მარკეტინგი წარმოადგენს ყველა ორგანიზაციისათვის მამოძრავებელ ძალას. საბაკალავრო პროგრამა მარკეტინგის მიმართულებით საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს შეიძინოს პროფესიული უნარ-ჩვევები, რათა მოცემულ ბიზნეს გარემოში თავდაჯერებულად მართოს მარკეტინგული სიახლეები და ღონისძიებები.

წარმატებული მარკეტინგის სპეციალისტი

წარმატებულ მარკეტინგის სპეციალისტს აქვს იმ ბაზრის სრულყოფილი აღქმა, რომელშიც ორგანიზაცია მოქმედებს. მარკეტინგის სპეციალისტი ადვილად შექმნის, გადასცემს, და უზრუნველყოფს მომხმარებელს იმ პროდუქტით, რომელსაც ორგანიზაცია სთავაზობს. მარკეტინგის სპეციალისტი ორგანიზაციას დაეხმარება ბაზრის განსაზღვრაში და კონკურენტთა რიგებში მოწინავე პოზიციის დამკვიდრებაში.

დასაქმება

კურსდამთავრებულებს უპირატესობა ექნებათ დასაქმდნენ როგორც მცირე, ისე საშუალო ბიზნესის ორგანიზაციებში ასევე დიდ კორპორაციებშიც. საწყის ეტაპზე მათ გადამზადების გარეშე შეუძლიათ დაიკავონ ისეთი ფუნქციური პოზიციები რომელიც დაეხმარება ორგანიზაციას ბაზრის უკეთ შესწავლაში და მომხმარებლის უკეთ გაცნობაში. მათ ასევე შეუძლიათ უმაღლეს მმართველობით რგოლთან ერთად მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მარკეტინგული გეგმების დასახვასა და განხორციელების პროცესში.



ფინანსების პროგრამა

ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს პრაქტიკულ მოთხოვნებზე და საჭიროებებზე ორიენტირებული, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; პროგრამის ძირითადი ამოცანაა სწავლების პროცესის ორგანიზება მისაღწევი შედეგების, სტუდენტთა ინტერესებისა და თანამედროვე ფინანსური გარემოს (საქართველოს საბანკო სისტემის, სადაზღვევო სექტორის, საინვესტიციო და კერძო კომპანიების, კაპიტალის ბაზრისა და საწარმოო პროფილის კორპორაციების) თავისებურებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით; პროგრამის მიზანია ასევე სფეროსთვის აუცილებელი საფუძვლიანი თეორიული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც გულისხმობს ფინანსური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, ანალიზის, ანგარიშგებისა და გამოყენების და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთების უნარს; პროგრამის მიზანია ასევე კომუნიკაციის, შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა; ზემოაღნიშნული სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩამოყალიბდნენ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის კონკურენტუნარიან ფინანსისტებად, რომლებიც შეძლებენ გადაჭრან მათი სამუშაო ადგილიდან გამომდინარე პრობლემები, განავითარონ და შემოქმედებითად გამოიყენონ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა; გარდა იმისა, რომ სწავლების პროცესში სტუდენტები მიიღებენ სათანადო თეორიულ განათლებას და სპეციალისტებად ჩამოყალიბდებიან ისინი სწავლის პროცესში დააგროვებენ პრაქტიკულ გამოცდილებას და შეძლებენ შრომის ბაზარზე ღირსეული ადგილის დამკვიდრებას; სტუდენტებისთვის ხშირად იმართება საკარო ლექციები, სემინარები, მრგვალი მაგიდის დისკუსიები ექსპერტებთან და სფეროს სპეციალისტებთან, ერთობლივი პროექტები და კვლევები; შედეგად, პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს უპასუხოთ თანამედროვე ფინანსური გარემოს სტანდარტებსა და საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ საკუთარი კარიერის დაგეგმვასა და განვითარებში;

წარმატებული ფინანსისტები

წარმატებულ ფინანსისტს აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური კონცეფციების, ინსტრუმენტებისა და ხერხების საფუძვლიანი ცოდნა, რაც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას მიიღოს რაციონალური გადაწყვეტილებები. კურსდამთავრებულს ექნება ფინანსების, საინვესტიციო პროექტებში თანხის ეფექტურად დაბანდების, საინვესტიციო პორტფელის მართვისათვის, ასევე, კომპანიის ანალიზისთვის, საბანკო თუ სადაზღვევო სექტორში პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის საჭირო საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. ფინანსების სპეციალისტი შეისწავლის



ფინანსურ ბაზრებს, ინსტიტუტებს, პორტფელის მართვის თეორიებს, ფინანსური უწყისების მართვისა და ანალიზის სტრატეგიებს, კორპორაციულ ფინანსებს და შეძლებს სათანადო რჩევა მისცეს ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებს რისკების მართვის კუთხით.

დასაქმება

პროგრამის კურსდამთავრებულები ფინანსურ გარემოზე დაყრდნობით შეძლებენ დასაქმდნენ საჯარო და კერძო კომპანიებში ფინანსურ ანალიტიკოსებად, საბანკო და სადაზღვევო სექტორში, საქართველოს ეროვნულ ბანკში, საინვესტიციო კომპანიებში, საქართველოს საფონდო ბირჟასა და საპროკერო კომპანიებში, საკონსულტაციო კომპანიებში, კაპიტალის ბაზარზე, ფინანსურ მენეჯერებად.

საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამა

ბუღალტერთა და აუდიტორთა საქმიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირებისთვის. მათი საქმიანობა უზრუნველყოფს ბიზნესის ეთიკური ნორმებისა და ღირებულებების დაცვასა და ხელშეწყობას, რაც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას გახდეს ბიზნეს საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი.

წარმატებული ბუღალტრები და აუდიტები

წარმატებულ ბუღალტერსა და აუდიტორს გააჩნია ფინანსური აღრიცხვის, საორგანიზაციო ხარჯების აღრიცხვის, საგადასახადო საქმის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საფუძვლიანი ცოდნა. ისინი ფლობენ ფინანსური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ამ ინფორმაციის ფინანსური უწყისების მეშვეობით გადმოცემის უნარს, ასევე ფინანსური უწყისების შემოწმების, ფინანსური ინფორმაციის შეფასებისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების უნარს.

დასაქმება

საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს საშუალება აქვთ დასაქმდნენ აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში, საბანკო და სადაზღვევო სექტორში, როგორც კერძო ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებში.

საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულება თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან, როგორცაა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (GFPPA) და სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია (ACCA). თანამშრომლობა გულისხმობს აღნიშნული ასოციაციების მიერ პროგრამის აკრედიტაციისა და შესაბამისად სტუდენტთა გათავისუფლების შესაძლებლობებს მათ მიერ ჩატარებული სერტიფიცირების გამოცდებისგან.

ტურიზმის პროგრამა

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ძირითადი დისციპლინების ფართო სპექტრს, რომელიც უზრუნველყოფს იმ ფუნდამენტური ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას, რაც კურსდამთავრებულს მოეთხოვება სხვადასხვა მმართველობითი პოზიციების დროს მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიაში. პროგრამის ძლიერი მხარე სტუდენტებისათვის სტაჟირების შესაძლებლობაა, სასწავლო გეგმაში ვათვალისწინებულია, როგორც სასწავლო, ისე საწარმოო პრაქტიკა, რაც მოიცავს აკადემიურ ადგილებზე ვიზიტებს და სავსეულ გასვლებს, ძლიერი პრაქტიკული კომპონენტი კი შრომის ბაზარზე წარმატების მოპოვების გარანტიაა.

წარმატებული ტურიზმის სპეციალისტები

ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია დასაქმების დიდ შესაძლებლობას იძლევა კურსდამთავრებულთათვის. ტურიზმის მიმართულების წარმატებული სტუდენტები გამოირჩევიან ენობრივი კომპეტენციით, აქვთ ტურიზმის სფეროს ფუნდამენტური ცოდნა, არიან დეტალებზე ორიენტირებულნი, შემოქმედებითი და ორგანიზებულები, შეუძლიათ კომპეტენციის ფარგლებში დასკვნების საჯაროდ წარმოდგენა და მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი არგუმენტებით.

დასაქმება

პროგრამის კურსდამთავრებულთათვის სამუშაო არეალი - მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიაში ფართოა, მათ აქვთ კარგი შესაძლებლობა აირჩიონ სასურველი სფეროები მიმართულებები და დასაქმდნენ ისეთ კომპანიებში, როგორცაა: ტურისტული სააგენტოები, სასტუმროები, კურორტები, მუზეუმები და ა.შ.

სადოქტორო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს ისეთი სპეციალისტების მომზადებას საჯარო და კერძო სექტორისთვის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მიზნებზე და შეუძლიათ ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა. პროგრამა უზრუნველყოფს თანამედროვე სასწავლო კურსის განხორციელებას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უახლეს თეორიულ ცოდნასა და ინოვაციური კვლევების მეთოდოლოგიას სტუდენტის მიერ არჩეულ სფეროში (მენეჯმენტი, მარკეტინგი და ფინანსები).

შსსუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორს შეუძლია იმუშავოს როგორც კომერციულ, ისე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში ბიზნეს ადმინისტრირების, საჯარო მმართველობის და სხვა მსგავსი მიმართულებებით. მას შეუძლია აგრეთვე ჩაატაროს სამეცნიერო კვლევები თავის დარგში.

გაცვლითი პროგრამები

ბიზნესის მართვის ფაკულტეტი გაძლევთ უნიკალურ შესაძლებლობას, რომ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლა გააგრძელოთ ამერიკის, ევროპისა და აზიის წამყვან უნივერსიტეტებში:

- პენსილვანიის უნივერსიტეტი კალიფორნიაში (აშშ)
- ბარსელონას უნივერსიტეტი (ესპანეთი)
- ბრაგანცას პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (პორტუგალია)
- საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი (ჩინეთი)
- სოლბრიჯის საერთაშორისო ბიზნეს სკოლა (სამხრეთ კორეა)
- ბრნოს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ჩეხეთი)
- ინსუბრიას უნივერსიტეტი (იტალია)
- სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლა რიგაში (ლატვია)
- საერთაშორისო ბიზნესის სკოლა (საფრანგეთი)
- ტურიბას უნივერსიტეტი (ლატვია)
- კომპინსკის უნივერსიტეტი (პოლონეთი)

სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა საშუალებას გაძლევთ:

- გაიღრმავოთ ცოდნა;
- გაეცნოთ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო სისტემას;
- გაეცნოთ მსოფლიოს სხვადასხვა კულტურებს;
- განავითარდეთ პიროვნულად;
- განავითაროთ მულტიკულტურული და ინტერპერსონალური ურთიერთობის უნარ-ჩვევები;
- შეისწავლოთ უცხო ენები;
- შეიძინოთ საჭირო კონტაქტები.

ყოველ სემესტრში, ბიზნესის მართვის ფაკულტეტის საშუალოდ 25 სტუდენტს საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამაში. ნუ გაუშვებთ ამ უნიკალურ შანსს, რომ მიიღოთ საერთაშორისო გამოცდილება!

ბიზნესის მართვის ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაცვლითი პროგრამის საშუალებით 1 სემესტრის განმავლობაში ისწავლონ საზღვარგარეთ შხსუ-ის პარტნიორ უნივერსიტეტებში. პროგრამაში მონაწილეობა შესაძლებელია საბაკალავრო პროგრამის მე-2 და მე-3 კურსზე და სამაგისტრო პროგრამის მე-2 და მე-3 სემესტრში. პროგრამა ხორციელდება Erasmus+ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.



პროექტები

პროექტი „ბიზნეს ანბანი“ (BOB) - პროექტის იდეის წარმოქმნა უკავშირდება სოციალურ პასუხისმგებლობას ჩვენი გარემოს მიმართ. ვავითვალისწინებთ რა სოციალური პირობები და ის სირთულეები, რაც მოყვა არასწორად წამოწყებულ ბიზნესებს, გადავწყვიტეთ დაგვეწყო საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც საზოგადოებას შესაწავლიდა ბიზნესის წამოწყების სირთულეებსა და ბარიერებს. ჩვენი მიზანი იყო ამით დაეხმარებოდით მომავალ თაობას თავიდან აეცილებინა არასწორად დაგეგმილი ბიზნესი და მისი სავალალო შედეგი, რაც ხშირ შემთხვევაში მთავრდებოდა ოჯახისა და ნათესავების უძრავი და მოძრავი ქონების დაკარგვით. ყველა სტუდენტს არ აქვს საშუალება ისწავლოს მავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში და ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ამ პროექტს მოეცვა ყველა დაინტერესებული ახალგაზრდა მიუხედავად იმისა, თუ რომელ უმაღლეს სასწავლებელში აბარებს იგი.

პროექტი „კრეატიული აზროვნება ბიზნესისთვის“ - არის ბიზნესის მართვის ფაკულტეტისა და ბიზნეს კლუბის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია-კონკურსი, რომლის ამოცანაა სტუდენტების წახალისება, მათი კრეატიული ბიზნეს იდეების გენერირება და გამოვლენა და ამ იდეების მაქსიმალურად პრაქტიკულად და რეალისტურად წარმოჩენა. კონფერენცია-კონკურსში მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასშტაბით არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის სტუდენტები როგორც ინდივიდუალურად, ასევე მაქსიმუმ 5 სტუდენტისგან შემდგარი გუნდის სახითაც. კონკურსის შედეგად ვლინდებიან გამარჯვებულები I, II და III საპრიზო ადგილებზე და შესაბამისად გადაეცემათ 500, 300 და 200 ლარი და მოწვეული კომპანიების მიერ დაწესებული პრიზები.

პროექტი „მრგვალი მაგიდის დისკუსიები“ - არის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის მიერ ინიცირებული პროექტი, სადაც სხვადასხვა სფეროს ექსპერტები სტუდენტებთან ერთად მართავენ დისკუსიებს ქვეყანაში არსებულ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. შედეგად სტუდენტები ისმენენ დარგის წამყვანი სპეციალისტების აზრს და იღრმავებენ ცოდნას აქტუალურ საკითხებთან მიმართებაში. დისკუსიების ბოლოს სტუდენტებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

პროექტი „ბიზნეს ინკუბატორი“ - „IBSU – Idea Lab“ არის ერთ-ერთი იმ ინოვაციური ბიზნეს-პროექტებიდან, რომელიც ეწყობა ბიზნესის მართვის ფაკულტეტის ხელშეწყობით. პროექტი მიზნად ისახავს სტუდენტებში ინოვაციური აზროვნების ხელშეწყობას. პროექტი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ტრენინგი წამყვანი სპეციალისტების ჩართულობით, იდეების გენერირება, ბიზნეს გეგმის შემუშავება, პროექტის წარდგენა და დაჯილდოება.

პროექტი „შეხვედრა კურსდამთავრებულთან“ (Homecoming) - IBSU-ს კურს-დამთავრებულები სტუმრობენ უნივერსიტეტს და ატარებენ საჯარო ლექციებს, სემინარებს ან მუშაობენ პრაქტიკულ ბიზნეს კაზუსებზე სტუდენტებთან ერთად. პროექტის ფარგლებში ორგანიზებული რეგულარული შეხვედრები უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულთა ჩართულობას IBSU-ს ყოველდღიურ ცხოვრებაში. შეხვედრები ყოველკვირეული ხასიათისაა და შეხვედრის თემის შეთავაზება ხდება მომსახურებლის მიერ, რომელთა აქტუალობასაც ადასტურებს ბიზნესის მართვის ფაკულტეტი და არჩევს შესაბამის აუდიტორიას.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტმა და სს „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგმა“ მემორანდუმის ფარგლებში განახორციელა პროექტი „ბიზნეს ეთიკისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების“ მცოდნე მომავალი ლიდერების ჩამოყალიბების ხელშეწყობისა და ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული სტაჟირების პროცესში ჩართვის მიზნით. კონკურსის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულებს გადაეცათ

ჯილდოები, კერძოდ: **პირველი საუკეთესო** შედეგის მქონე სტუდენტმა მიიღო: ა) ჯილდო 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით, ბ) გაიარა ნ თვიანი სტაჟირება, შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. სტუდენტს ექნება უფლება თავად შეარჩიოს კომპანიის შვილობილი კომპანია, რომელშიც სურს სტაჟირების გავლა; გ) გადაეცა მადლობის სერტიფიკატი კომპანიისაგან; **მეორე საუკეთესო** შედეგის მქონე სტუდენტმა მიიღო: ა) ჯილდო 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, ბ) გაიარა ნ თვიანი სტაჟირება, შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. სტუდენტს ექნება უფლება თავად შეარჩიოს კომპანიის შვილობილი კომპანია, რომელშიც სურს სტაჟირების გავლა; გ) გადაეცა მადლობის სერტიფიკატი კომპანიისაგან; **მესამე საუკეთესო** შედეგის მქონე სტუდენტმა მიიღო: ჯილდო 200 (ორასი) ლარის ოდენობით; ბ) გაიარა ნ თვიანი სტაჟირება, შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. სტუდენტს ექნება უფლება თავად შეარჩიოს კომპანიის შვილობილი კომპანია, რომელშიც სურს სტაჟირების გავლა; გ) გადაეცა მადლობის სერტიფიკატი კომპანიისაგან.

“საერთაშორისო პროექტები” - ფაკულტეტის პროფესორები უნივერსიტეტთან ერთად ჩართული არიან საერთაშორისო პროექტში და ამჟამად მონაწილეობენ საერთაშორისო პროექტებში:

- სტუდენტების კარიერული სერვისების განვითარება საქართველოში (TEMPUS Developing Student Career Services in Georgia (CASEDE));
- უმაღლეს განათლებაში ცვლილებების ხელმძღვანელობა და მართვა (TEMPUS- Leading and Managing Change in Higher Education (LaMANCHE));
- შავი ზღვის რეგიონში უნივერსიტეტების თანამშრომლობის ქსელები (University collaboration network at the Black Sea Region (Univer-Sea.Net));
- ვიშეგრადის ფონდის საუნივერსიტეტო გრანტის პროექტი სასწავლო კურსის განვითარებისათვის (Visegrad University Grant Project for Course Development). (მიმდინარე).
- ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს პლუსის პროგრამა (Erasmus +), რომელიც მოიცავს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული თანამშრომლების ჩართულობას სასწავლო თუ კვლევით პროგრამებში.

კვლევები

ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე 2016 წლიდან ფუნქციონირებს სტარტაპებისა და მეწარმეობის ცენტრი, რომელიც თანამშრომლობს საქართველოში არსებულ წამყვან კომპანიებთან, უწევს მათ კონსულტაციებს მენეჯმენტის, მარკეტინგის (ბაზრის კვლევა), ფინანსებისა და ტურიზმის სფეროებში. აგრეთვე, ცენტრი ორიენტირებულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს მისცეს საშუალება თეორიული ცოდნა სტუდენტობის პერიოდშივე გამოიყენონ პრაქტიკული მიმართულებით. ზემოხსენებულიდან გამომდინარე სტარტაპებისა და მეწარმეობის ცენტრი ახორციელებს შემდეგ პროექტებს:

- კომპანია **„ბარამბო“** - ჩატარდა მარკეტინგული კვლევა ბარამბოს ახალი პროდუქტის “FRIENDS”-ის შესახებ. კვლევა 3 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და გულისხმობდა შეხვედრებს ფოკუს-ჯგუფებთან, მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სტუდენტთა აზრის შესწავლა ახალ პროდუქტთან დაკავშირებით.

- კომპანია „დიო“ - უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი კომპანიის მომხმარებლის კმაყოფილების დონის განსაზღვრის კვლევაში. გამომდინარე იქედან, რომ კმაყოფილების მაღალი მაჩვენებლები, თავის მხრივ, მომხმარებელთა შენარჩუნების და ლოიალობის მყარ გარანტიას წარმოადგენს.
- სასტუმრო „პრონ პალასი“ - ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტების მიერ დაიგეგმა და წარიმართა კვლევა სასტუმრო ინდუსტრიის თემაზე. ვაკეთდა შეგროვებული მონაცემების ანალიზი, მომზადდა ანგარიში და რეკომენდაციები დამკვეთს წერილობითი სახით წარედგინა.
- კომპანია - „**პართული გეთისხილი**“, ბიზნესის მართვის ფაკულტეტი და ამსტერდამის გამოცენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი მომორანდუმის ფარგლებში ახორციელებს ბაზრის კვლევას პირველი ქართული ზეთის ზეთის წარმოებასთან დაკავშირებით. კვლევა მოიცავს ბაზრის დეტალურ შესწავლას, საფრთხეებისა და ხელსაყრელი შესაძლებლობების განსაზღვრას ახალი პროდუქტისთვის.
- კომპანია „**გუდვილი**“ - შემოწმდა მომსახურების ხარისხი იდუმალი მყიდველის კვლევების საშუალებით, სადაც დამკვირვებლები (სტუდენტები) რეალური მომხმარებლების სტატუსით წარუდგინეს კვლევის ობიექტებს და შეთანხმებული სცენარებით, წინასწარ განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით შეაფასეს მომსახურების სხვადასხვა ასპექტი.
- „**GNTA**“ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ, რომელმაც ოფიციალური ფუნქციონირება 2016 წლის თებერვალში დაიწყო და რომლის მიზანია საქართველოს საქმიანი ტურიზმის პოტენციალის მარკეტინგი და ქვეყანაში სხვადასხვა საქმიანი ხასიათის ღონისძიების (MICE – Meetings, Incentives, Conference and Events) მოზიდვის ხელშეწყობა, ახორციელებს ღონისძიების იდენტიფიცირებას, რომელთა საქართველოში მოზიდვა და მასპინძლობა არის შესაძლებელი და მიზანშეწონილი. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაგეგმილი პროექტი მოიცავს სტუდენტების მიერ ორგანიზაციების, ასოციაციებისა და სხვა მსგავსი გაერთიანებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიებას და კვლევის ჩატარებას - „თუ როგორ იღებენ აღნიშნული ორგანიზაციები გადაწყვეტილებას მომდევნო ღონისძიებების გამართვის ადგილის შესარჩევად“.

ბიზნეს კლუბი

- ბიზნესის კლუბის ორგანიზებით ჩატარდა პროექტი “International Business Game” შეჯიბრი მოიცავდა 7 სხვადასხვა რაუნდს, რომლებიც მოითხოვდა მონაწილეების ცოდნას ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტისა, PR-ის მიმართულებით. გამარჯვებული გუნდი კი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტების გუნდი “Shisoka” გახდა, გუნდი რომელმაც 3 ქულიანი სხვაობით ჩამოიტოვა ილიას უნივერსიტეტის გუნდი “ციანიდი” და შავი ზღვის უნივერსიტეტის გუნდი “K&G”.
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის კლუბის ორგანიზებით გაიმართა ვიბრი ყვარლის ფულის მუზეუმში, რომელიც დაარსდა 2001 წელს, იგი 1981-1989 წლებში მოქმედი „ბანკის მუზეუმის“ ბაზაზე აღმოცენდა და საქართველოს ისტორიასა და თანამედროვე მსოფლიოში ფულის, როგორც სახელმწიფოებრიობის აუცილებელი ატრიბუტიკისა და მისი განვითარების დონის წარმოჩენას ემსახურება.

სოციალური აქტივობები



კურსდამთავრებულები Business Alumni



ხატია ხარჩეიშვილი, 2015 კურსდამთავრებული.
ბაკალავრიატის შემდეგ დააარსა საკუთარი ტურისტული
კომპანია „Unitours“, სადაც მოღვაწეობას განაგრძობს
აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე.

ნონა მამულაშვილი, 1999 წლის კურსდამთავრებული
Philip Morris- კორპორატიულ საკითხთა
განყოფილების ხელმძღვანელი



მამუკა ალიევი - 2002 წლის კურსდამთავრებული
Levante's, აშშ - დამფუძნებელი, გენერალური
დირექტორი



მარიამ ქვიციანიძე, 2011 წლის კურსდამთავრებული
Flydubai - გენერალური დირექტორი



დავით ბერუჯანიანი, 2011 წლის კურსდამთავრებული
ბანკი „ABN AMRO“ ბანკის პოზიცია (ამსტერდამი,
ნიდერლანდები).



ბეკა ტყეშუაშვილი 2008 წლის კურსდამთავრებული
კომპანია „A.P. Moller - Maersk“ გლობალური HR
ოპერაციებისა და პროექტების მენეჯერის პოზიციაზე
(ჰააგა, ნიდერლანდები).



მიხეილ სულაბერიძე 2008 წლის კურსდამთავრებული
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო



ნანა ლაბაძე
IBSU-ს პროფესორი, დოქტორი
ფინანსების მიმართულება



ლევან კალანდაძე
ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში
ფინანსების მიმართულება




გიორგი ბალაშვილი
IBSU-ს პროფესორი, დოქტორი
„კრეატიული აზროვნება ბიზნესში“ პროექტის
კოორდინატორი, მენეჯმენტის მიმართულება



კახაბერ ჯაყელი
ფულბრაიტის პროფესორი კენესოს
სახელმწიფო უნივერსიტეტში, აშშ.
მარკეტინგის მიმართულება



მაია მხატაძე
სასტუმრო „კონტინენტ კორნ პალას
თბილისი“-ს გენერალური დირექტორი
ტურიზმის მიმართულება



ირაკლი ხვითიაშვილი
ასოციაცია სტაბის ვიცე-პრეზიდენტი
მარკეტინგის მიმართულება



გურამ შერიძე

ISSET - კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
MCI ჯგუფის საქართველოს წარმომადგენლობის მარკეტინგული და ტრენინგების კონსულტანტი
საზოგადოებრივი მუწყების სატელევიზიო გადაცემის წამყვანი
მარკეტინგის მიმართულება



მიხეილ გვათია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რევიზიებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულება



ნინო ფარცვაძე

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი
IBSU-ს პროფესორი



ვახტანგ ჭარანია

თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი
სატელევიზიო გადაცემა „ბიზნესკოდი“-ს წამყვანი
ეკონომიკის მიმართულება

ბიზნესის მართვის ფაკულტეტის გუნდი



NOTES

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

23 356



IBSU
Welcome PARTY 2016
23rd Anniversary

withIBSU #FollowMeTo #IBSU





IBSU

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY

მის.: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. №2, 0131 თბილისი, საქართველო;
ტელ.: +995 32 259 50 05; ფაქსი: +995 32 259 50 08
E-mail: contact@ibsu.edu.ge

www.IBSU.edu.ge